საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/718

ქ. ბათუმი 06 **დეკემბერი, 2019 წ.**

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2019 წლის 18 ნოემბრის MES 5 19 01567151 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტთა სია, რომლებიც შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან დღემდე არ გამოცხადებულან ბსუ-ში და არც გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წარმოუდგენიათ წერილობითი ინფორმაცია.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2019 წლის 18 ნოემბრის MES 5 19 01567151 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროფესიულ სტუდენტთა ***(დანართი №1)*** მიმართ, რომლებიც შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან (2019 წლის 03 ივნისიდან) დღემდე არ გამოცხადებულან ბსუ-ში და არც გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წარმოუდგენიათ წერილობითი ინფორმაცია.

2. დაინტერესებულ პირებს ***(დანართი №1)***, ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

4. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2019 წლის 09 დეკემბრის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

5. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის № 01-08/718 ბრძანების

დანართი №1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსშესაწყვეტი პირები - **16 ბსუ-ს სტუდენტი, მათ შორის:**

1. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი - 12 პროფესიული სტუდენტი;
2. ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 4 პროფესიული სტუდენტი.

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

№	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი
1	ირაკლი ქორიძე	[redacted]	არქიტექტორ-ტექნიკოსი	01-08/292 31.05.2019
2	გრიგოლ ტიკარაძე	[redacted]	არქიტექტორ-ტექნიკოსი	01-08/292 31.05.2019
3	დავით ქათამაძე	[redacted]	არქიტექტორ-ტექნიკოსი	01-08/292 31.05.2019
4	ირინე კორძაია	[redacted]	არქიტექტორ-ტექნიკოსი	01-08/292 31.05.2019

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

№	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი
1	ნათია ფირცხალაიშვილი		ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	01-08/292 31.05.2019
2	ინგა სირაძე		ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	01-08/292 31.05.2019
3	ვალერიანე ლომაძე		ვებ ინტერფეისის დეველოპერი	01-08/292 31.05.2019
4	უშანგი ფუტკარაძე		ვებ ინტერფეისის დეველოპერი	01-08/292 31.05.2019
5	სერგო შიშმანიძე		ვებ ინტერფეისის დეველოპერი	01-08/292 31.05.2019
6	შოთა გეგიძე		ვებ ინტერფეისის დეველოპერი	01-08/292 31.05.2019
7	ერეკლე ქათამაძე		ვებ ინტერფეისის დიზაინერი	01-08/292 31.05.2019
8	დემეტრე ქათამაძე		ვებ ინტერფეისის დიზაინერი	01-08/292 31.05.2019
9	გვანცა მემარნე		ვებ ინტერფეისის დიზაინერი	01-08/292 31.05.2019
10	ნატო კახაძე		ვებ ინტერფეისის დიზაინერი	01-08/292 31.05.2019
11	გურამი ლომიძე		ვებ ინტერფეისის დიზაინერი	01-08/292 31.05.2019
12	ლევან გორგილაძე		ვებ ინტერფეისის დიზაინერი	01-08/292 31.05.2019